


საქართველო



რესპუბლიკა

მთავრობის მიერ, უფლებდარი განცხადებით (თავისუფალი და არა თვითნებური განყოფილებით) **საქართველოს რესპუბლიკა** მიიღება ზღვის მოსაზრება გზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. განცხადებით 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველაზე 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე კერძო სტრუქტურა 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვითი განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გზ. ნისილდ არაფასი განცხადება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1-82.

გულამწვარი მშობლები ვასის და ლადო, დიდგდა თინე, მამიდა ნატაშა, ბიძა კოლა ტატიშვილები, პაპიდა სოფიო ფაველინივილისა უწყვეტ ნათესავთ, მეგობრებს, რომ დღეს, სამშობლოს მარტს, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში საღამოს 5 საათზე ნახევარი წლის გარდაცვალების თავზე გადახდილი იქნება პანაშენი მათთვის ძვირფასი ერთად ერთი შვილის, საყვარელი

ირიკოს
სულის მოსახსენებლად. 377

სახელმწიფო თათბრი აქრია ხ. ა. ეგლახიშვილის ხელმძღვანელობით. სამშობლოს, 2 მარტი ინაშვილის ბენეფიცი

ტ ა ი ს ი
ოთხშობათს, მარტის 3, მგოსნის ვალაქტიონ ტაბიძის საღამო. 1. ქართველ მგოსანთა მოხსენებები. 2. „ალეკო“, 3. ბალეტი.

დაფუძნებული კრების სენტრალური საარჩევნო საკარლამენტო კომისია
ამით ხაყოველთაოდ ვცხადებ, რომ დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები ფუნქციონირებს (სახუმის ოლქში) და რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც რაიმე მიზეზის გამო წინა არჩევნები არ მოხდა ან გაუქმებულია, დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომ. პრეზიდიუმი

დაქრისტე
სამხედრო ხაჭორებისათვის 40.000.000 მანეთის გადაღებას.
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო უწყების განკარგულებაში ორმოცი მილიონი (40.000.000) მანეთი სამხედრო საჭიროებისათვის.
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წლის თებერვლის 24-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

დაქრისტე
მიწის ძვირსაგან დაზარალებულთა პირველი დახმარებისათვის 20.000.000 მან. გადაღების და სხვა გვარი შემწეობისა.
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი (20.000.000) მან. მიწის ძვირსაგან დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად.
2. გაცემულ დაზარალებულთა პირველი დახმარება სახელმწიფო საწყობიდან საკვებისა, ტანსაცმლისა, წამლისა, დროებით თავშესაფარების ასაშენებლად საღმრთებლო მასალებისა და სხვა საგნების უფასოდ მიცემით.
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წ. თებერვლის 24.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

დაქრისტე
სამხედრო უწყებისათვის დამატებით 58.026.622 მან. და სამხედრო უწყებისათვის შესანახად ყოველთვიურად 36.609.671 მან. გადაღებისა.
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო უწყების განკარგულებაში სამხედრო

რო უწყების 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ორმოციდა თვრამეტ მილიონ ოცდაექვსი ათასი ექვსას ოცდა ორი (58.026.622) მანეთი 1919 წლის სექტემბრის 1-დან 1920 წლის თებერვლის 1-დღე სამხედრო უწყების შესანახად გაწეული ხარჯის დასაფარავად.
2. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან სამხედრო უწყების განკარგულებაში სამხედრო უწყების 1919-1920 წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ამა 1920 წლის თებერვლის 1-დან ივნისის 1-დღე ყოველთვიურად ოცდა თექვსმეტი მილიონი ექვსას ცხრა ათას ექვსას სამოცდა თერთმეტი (36.609.671) მანეთი სამხედრო უწყების შესანახად.
3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წ. თებერვლის 24-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

დადგენილება.
საქართველოს სახელმწიფო ბანკის ორგანოთა თანამდებობის პირთა ჯამაგირისა
1. დადგენილია საქართველოს სახელმწიფო ბანკის გამგეის თვითურ ჯამაგირად თვრამეტი ათასი (18.000) მანეთი, გამგეის ამხანაგს თექვსმეტი ათასი (16.000) მანეთი და გამგეობის წევრთა ხუთმეტი ათასი (15.000) მანეთი თვითურად.
2. დადგენილია ბანკის საბჭოს თავმჯდომარის თვითურ ჯამაგირად ექვსი ათასი (6.000) მანეთი, ხოლო საბჭოს წევრის გასამრჯელო განისაზღვროს სამასი (300) მანეთით თვითურად სხომისათვის, რომელსაც იგი დაესწრება.
1920 წ. თებერვლის 24-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი აღ. ლომთათიძე.

დადგენილება.
მიწის ძვირით დაზარალებულთაგან გადასახადების აკრეფის შეჩერებისა.
1. შეჩერებულ იქნეს მიწის ძვირით დაზარალებულთაგან ყოველგვარ გადასახადის აკრეფა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წ. თებერვლის 24.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი აღ. ლომთათიძე.

დაქრისტე.
გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 3.000.000 მან. გადაღებისა სავანგებო ხარჯებისათვის.
1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი (3.000.000) მანეთი სავანგებო ხარჯებისათვის.
2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წ. თებერვლის 24-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

დაქრისტე
საერთო სამკურნალო დაწესებულებათა ახალი შტატის დამტკიცებისა.
1. ნაცვლად 1919 წლ. მარტის 3-ს დამტკიცებული ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოს შტატისა, 1901 წ. იანვრის 4-ს და 1903 წ. ნოემბრის 22-ს დამტკიცებული ტფილისის ოლღის სახელობის საბავთო ინსტიტუტის შტატისა, 1869 წ. დაწესებული ტფილისის დავრომილოთა თავშესაფარის

შტატისა და ქუთაისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარის შტატისა, დამტკიცებულ იქნეს 1919 წლ. ნოემბრის 1-დან ამ დეკრეტთან დართული ახალი შტატი: ა. ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსი (დამ. № 1), ბ) ტფილისის ოლღის სახელობის საბავთო ინსტიტუტისა (დამ. № 2) გ) ტფილისის დავრომილოთა თავშესაფარისა (დამ. № 3), და დ) ქუთაისის სულით ავადმყოფთა თავშესაფარისა (დამ. № 4) და ე) ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოსთან არსებული სულით ავადმყოფთა თავშესაფარისა (დამ. № 5).
2. პირველ მუხლში აღნიშნული საქართველოს სახელმწიფო ბანკის 1919 წლის ნომბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დღე ორი მილიონი ოთხას ოცდათექვსმეტი ათას სამას ორმოცდა ოთხი (2,436,350) მანეთი.
3. ამ დეკრეტით დაწესებულ შტატზე არ ვრცელდება დამფუძნებელი კრების 1919 წლ. მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს დეკრეტების მოქმედება.
4. პირველ მუხლში აღნიშნულ შტატზე (დამატება 1, 2, 3, 4 და 5) გაცემულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 4-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირზე.
5) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, 1920 წ. თებერვლის 24-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

შტატის დამატება № 1.
მიხეილის სახელობის საავადმყოფოსი 1919 წ. ნომბრის 1-დან 1920 წლ. ივნისის 1-დღე.

№	როგორც	თანამდებობის პირთა სახელწოდება.	რიცხვითი პირთა.	თვითურად.	წმინდა თვითურად.	წმინდა 1919 წლ. ნომბ. 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დღე.	შენიშვნა.
1	უფროსი ექიმი		1	4000	4000	28000	
2	უფროსი ორდინატორი		2	3500	7000	49000	
3	უფროსი ორდინატ. გინეკოლოგი		1	3500	3500	24500	
4	უმცროსი ორდინატორი		7	3000	21000	147000	
5	პროზექტორი		1	3500	3500	24500	
6	უფროსი ფერვალი		1	1300	1300	9100	
7	უმცროსი		9	1200	10800	75600	
8	ფოთიპის გამგე		1	2400	2400	16800	
9	თანაშემწე		1	2200	2200	15400	
10	მოწყალეების და		10	1200	12000	84000	
11	ზედახედეველი გამგე		1	2400	2400	16800	
12	თანაშემწე		2	1400	2800	19600	
13	ბუხალტერი		1	2000	2000	14000	
14	საქმისმწარმოებელი		1	2000	2000	14000	
15	კანცელარიის მოსამსახურენი (მწერლები, მანქანით გადამწერი)		5	1850	9250	64750	
16	მემაქანე (გამომომბი)		1	1800	1800	12600	
17	თანაშემწე		1	1100	1100	7700	
18	თვითურადების გამგე		1	1200	1200	8400	
19	ზედახედეველი ქალი		8	1200	9600	67200	
20	დაბალი მოსამსახურენი (მხარეული, მეგობრე, დარაჯი და სხვა).		81	800	64800	453600	
	სულ.		136	—	164650	1152550	

1919 წ. დეკემბრის 16-ს.
საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი
აღ. ლომთათიძე.
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანი.

პირველი რესპუბლიკის განყოფილება
ვიწის ქვრა
თანაგარძობა და დახმარება.
მთავრობის თავმჯდომარის შემდეგი დებულებები მოუვიდა:
ქიათურად: ქიათურის ქალაქის გამგეობამ მწუხარებით მოისმინა საქართველოს ნორჩი რესპუბლიკის დიდი უმედურების ამხანაგი და დასტურის თავის მოძმეთა მწარე ბელს. გორის ტრადიციამ მთელი ხალხი ფუნზე დაყენა შესდგა გორის ფონდის კომისიის გორის აღსადგენად. ხალხი ერთსულოვნად თქვენ გვერდსა დგას და მზად არის თავისი უკანასკნელი წვლილი გაილოს.
ქალაქის მოურავი მოდებამდე.
გულაუთადან: ქ. გულაუთის მოქალაქეთა ყრილობა გიცხადებთ გულითად მწუხარებას

და უდიდეს თანაგრძობას ქართველი ხალხის უზღვევლობაში. ყველანი მზად ვართ არაფერი დავიშუროთ მიწის ძვრის მსხვერპლთა სასარგებლოდ. ყველას ღრმად გვყვამს დანგრეულ ქ. გორის აღდგენა.

ქალ. მოყვრავი ჟორჯოლაიანი.

სამოცამდე სოფელი დანგრეა; თუ ქვის გული არა გაქვს მათთვის დახმარებას არ დაიშურებ. შესწირეთ ფული.

მანგლისადან: მარჯს პატივი ამისთანავე ტელეგრაფით გამოგვავსებთ სამი ათასი მანსისარგებლოთ გორში დაზარალებულ ხალხათვის.

მანგლისის მცხოვრები გრაგელ წიკოლოზის ძე გულვერდაშვილი.

სახუმადან: თავზარი დაგვცა ქართლის საზღვრებში უბედურებამ. სოხუმის ქართული გროველი საბჭო მთელ საქართველოსთან ერთად გლოვობს სტიქიურ უღმობელოების ათათას მსხვერპლს. იმედობს, რომ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა და ერის შეერთებული ნების ყოფა შესძლებენ აღადგინონ განადგურებული ქალაქი გორი და სოფლები. სოხუმის ქართული ეროვნული საბჭომილებს ყოველივე ღონეს, რათა უშუალოდ დაჩინდეს ხალხს დაჩქარებით გაეგზავნოს აფხაზეთიდან შესაფერი ნივთიერი დახმარება.

ეროვნული საბჭოს თ. გულდომარე ექიმი გრაგელაია.

მუშავ, შენი ღარიბი გორში ცრემლებს მოსწმენდს ობლებს. დაეხმარე.

შესტავიდან: მარჯის ყველა მცხოვრებნი ერთსულოვნად მზად არიან მზარში ამოუდგენ მთავრობის რესპუბლიკას იმ დიდ უბედურების გასაქარწყლებლად, რომელიც თავს დაატყდა ქართლის გულს. შესდგა მზარის და ქალაქის დამხმარე კომიტეტები. დგებიან ასე თივე კომიტეტები ყველა თემებში. სახელდახელოთ პირველი დახმარებისთვის შეგროვილი 2,550 მან. გადაგვავსებთ პირდაპირ გორში ონიანების სახელზე. დღეს შეუდგით სისტემატურად დახმარების შეგროვებას. გვრწამს, რომ ხალხის ერთსულოვნება გადაიტანს ყოველივე უბედურებას. ძმური საღამო დაზარალებულ ქართველებს.

შორაპნის მზარ-ერობის თავმჯდომარე ზუაჩიძე.

სახუმადან: სოხუმის მეთამბაქოეთა საზოგადოებამ გადასწყვიტა ადგილობრივ მეთამბაქოეთა შორის მოკრიბოს ფურცლიანი თამბაქო ტფილისში გასაგზავნად. ამ თამბაქოდან აღებული ფული შექვეს განკარგულებად. გადასდოს გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

საზოგადოების გამგეობა.

შენ შეილა გყავს და გიყვარს—წა. რმოიდგინე ის ერთ წუთით უინგავში და მშვიერი, ასე არიან გორელნი ბავშვები დაეხმარე მათ.

მათამიდან: გულით და სულით ვიზიარებ იმ საწინელ უბედურებას, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა.

გენ. ბარათაშვილი.

ცხინვალადან: ვუერთებთ რა ჩვენ გლოვას გორის გოდებას მთელი ერისთვის დაუფასებელ ქ. გორის დაღუპვის გამო ჩვენ, როგორც ნაწილი გორის მზარისა, დაუნებებლად მოგვითხოვთ, რომ ქ. გორი იყოს აღდგენილი თავის ადგილზე, რადგანაც მთელი ქართლი მასთან დაკავშირებულია ეკონომიურად და მისი გადატანა უდიდეს მთელი ქართლის მეურნეობის დაღუპვას და მის გაღატაკებას. დიცსა გსდობთ, რომ ჩვენი ძალა და ენერჯია იქნება გამოყენებული გორის აღსადგენად და ასაყვავებლად. გათხოვთ და წესებულელები გორიდან არსად გადაიტანოთ.

ცხინვალის თემის საბჭო.

მთავარ საბაქოში.

მთავარ საბაქოს მუშა-მოსამსახურებმა 26 თებერვლის საზოგადო კრებაზე დაადგინეს: სამი ჯამაგირი ყოველ-ჯამარი დამატებით გადაეცეს ქართლში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს; ამასთანავე გაეგზავნა მოწოდება რესპუბლიკის ყველა საბაქოებს რათა, მათაც გაიღონ თავიანთი წვლილი ამ მიზნისთვის.

საზოგადო კრების მდივანი ს. ხაყერია.

უდიდესი სიმდიდრე მოყვების სიყვარულია; შეიძინე ეს სიმდიდრე. შესწირე უსახლკარო გორელებს.

ტფილისის საადგილ მამული ბანკში.

გამგებამ და ზედამხედველმა კომიტეტმა ტფილისის საადგილ-მამული ბანკისა, შეერთებულ კრებაზე 21 ამა თებერვალს, დაადგინა: დაზარალებულ-განადგურებულ გორის და მის მზარის მცხოვრებთა შესაწირად გადასდოს ოცდა ათი ათასი მანეთი. გარდა ამისა ბანკის მოსამსახურეთაც გამოიღონ ამავე საქართველებისთვის თავისი წვლილი და ერთდროულად შესწიროს ორი ღლის ჯამაგირი, რაიც უდიდეს 20500 მ.

შემოწირულებანი.

მთავრობის კანცელარიაში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ:

- 1) ტფილისის ხაზინის მოსამსახურეთაგან 656 მანეთი.
- 2) მ. ი. სკობლევიდან 200,000 მ.
- 3) ნ. ი. ნიკოლაძისაგან 1000 მ.
- 4) რაზუმოვსკისაგან 100 მან.
- 5) შრომის სამინისტროს მოსამსახურეთაგან 3910 მან.
- 6) აქციონერული საზოგადოება ძმ. ფორერების-გან 50,000 მ.
- 7) რუსთა ეროვნულ კომიტეტისგან (ღონის ფულით) 5000 მ.
- 8) საგურამოს სახელმწიფო ტყის მოსამსახურეთაგან 650 მან.
- 9) ჯმალ. დაწყებით სასწავლებლის მოწოდება 8700 მ.
- 10) აზოვი-ღონის ბანკისაგან 75000 მ.
- 11) ვოლგა კამის ბანკ. 75000 მ.
- 12) პეტროგრადას საერთაშორისო ბანკისაგან 75000 მ.
- 13) ა. წუწუნავისაგან 28105 მან.
- 14) ვაკარცო, სერგეევა და ფარასტაევისაგან 600 მან.
- 15) სახელმწიფო თეატრის მოსამსახურეთაგან 6954 მან.
- 16) ინტ. ციციშვილისაგან 5000 მ.

დღეს შენი შეიცოდე მეზობელი— შეიძლება ხვალ მან გამოგიწოდოს ხელი. დაეხმარე თვალცრემლიან სოფლებს.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შულავერის შემოწირულებათა შემკრებმა კომისიამ 12,508 მან. მოგაკრავა.

საქართველოში მცხოვრებ ელინთა ყრილობის თავმჯდომარემ 2250 მანეთი გადასცა ქალაქის მოურავს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ამერიკულმა დამხმარე კომიტეტმა აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს ჰასკელის ტელეგრაფის თანახმად, რომ დაუყოვნებლივ ჩაიბაროს ფოთში 3 ვაგონი ტანთსაცმელი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დასარჩევად.

მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიაში შემოვიდა გზ. „სახალხო საქმის“ რედაქციაში შეგროვილი 23,508 მ.

- 1) სასტუმრო „ნოე“ 15000 მან.
- 2) იტალიელ მოქალ. ინტ. პროპოსტო და ვიტროსგან 50,000 მ.
- 3) ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან 51 მ.
- 4) იუსტიციის სამინისტროს მოხელეთაგან 2240 მან.
- 5) ტფილისის მე-21 უბნის მომრიგებელ მოსამართლისგან 280 მან.
- 6) რომის კათალიკეთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან 2310 მ.
- 7) ქართველ-ბერძენთა ამხანაგ. აკადემიის-პერმის-საგან 5000 მ.
- 8) რუსულ კლუბისაგან 10,000 მ.
- 9) კლუბი უნიონი 44,316 მ.
- 10) იონანე ღვთის მეტყველის ეკლესიისაგან 1521 მ.
- 11) შავი ზღვის აქციონერულ საზოგადოებისაგან 2700 მ.
- 12) იტალია კავკასიის ბანკი 200,000 მ.

პოლონეთის წარმომადგენელმა ოსტროვსკიმ შესწირა 10,000 მან.

ნორვეგიის კონს. თანამდ. აღმას, 2000 მ. მუსტაფა ჩოკაევი 5000 მ.

მეზობელო! გორის დაზარალებულთათვის რამდენიმე გადასდევნი?

კომისიის თხოვნა.

დაზარალებულთა დამხმარე ტფილისის კომისია სთხოვს ყველა გაზეთის რედაქციებს და სხვა ორგანიზაციებს შეგროვილი თანხა სასწრაფოდ გადაეგზავნათ კომისიას ქალაქის გამგებობაში საბჭოს მდივანს ვ. ხახანაშვილს. კომისია სთხოვს აგრეთვე ყველა ორგანიზაციებს, ბანკებს და იმ პირთ, რომლებიც მუშაობენ დაზარალებულთა დახმარებად და უყოვნებლივ მიიღონ კომისიისგან საქველმოქმედო წიგნაკები ფულისა და ნივთების შესაგროვებლად, რადგან კომისიამ დაადგინა შესაძლებელ ბოროტ-ქოქმედების თავადან ასაცილებლად შექმდებლად სტრო უკრატანციოდ ფულების შეკრება.

შენ მოქალაქე ხარ, უნდა შეგარცხვს, თუ გორის აღდგენაში საქმად მონაწილეობა არ მივიღია.

ქალთა კრება.

27 დეკემბერს, ქალაქის თვითმმართველობაში ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელ ქალთა კრება. გასარჩევი იყო საკითხი მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულისა და ნივთების ტფილისში შეგროვების ორგანიზაციის მოწყობისა. კრებას დაესწრა 50 წარმომადგენელი. არჩეულ იქნა ორი კომისია, პირველს დაევალი ფულის შეგროვება, ხოლო მეორეს ნივთების.

თუ გორა ღირსეულად არ დაზარებინარ აღამიანად არ ჩაითვლები.

დავუშნებელი კრება

27 თებერვლის სხდომა.

(დასასრული)

კანონ პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტაბისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

ა. ხალაყაია მოახსენებს კრებას შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტაბის და ხარჯთ-აღრიცხვის კანონ პროექტს და მოითხოვს საფინანსო-სამოხურეთო კომისიის სახელით მის დადასტურებას.

ა. ნუტუბაძე (ს. რ.) ამბობს: ხარჯთ-აღრიცხვის დადასტურება ნიშნავს სამინისტროსათვის ნდობის გამოცხადებას, მისი მოღვაწეობის მოწონებას, სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია კი არ იწონებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოღვაწეობას და ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე უარს ეუბნება. ჩვენი ადმინისტრაცია თითქმის არაფრით არ განიჩხვება ძველი დროის ადმინისტრაციისაგან, ის საფუძვლით სდგას თვითნებობას ნიღბაზე და ოდნავაც არ ემსახურება უფლებრიობის განმტკიცებას. ადმინისტრაციის თვითნებობის დასამტკიცებლად ორატორს მოყავს ციტატები გაზეთ „სახალხო საქმე“ და „შრომიდან“. უკანასკნელ გაზეთში მოთავსებული ყოფილა ძველი მუშა არაქელა ოქრუაშვილის წერილი. ამ ოქრუაშვილის—ამბობს ორატორი, სცემეს სისხლის სამართლის მილიციაში, კბილები ჩამტკიცის და პირდაპირ აწაფეს, სადაც ასეთ თვითნებობას აქვს აღგვილი, იქ ჩვენ არ შეგვიძლია ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

ა. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში იწერება ყოველგვარი უკუღმართი ბრძანებები და ის აწარმოებს სისტემატურ დატუსაღებას და გადასახლებას. 2 წელი, რაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ადმინისტრაცია, იქმნებო, მაგრამ დღემდის ვერ შეიქმნა რიგობი ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის ნიღბი ხალხი მოეჭვა, რამეგლაც არაფერი არა აქვს რევოლუციისათვის საერთო, პირიქით, ის ხალხი წინეთ რევოლუციის სასტიკად ებრძოდა და ძველი მთავრობის ერთგული იყო. ასეთი ყოფილა ბოქაულები და სხვა მოხელეები, რომლებიც ამ დამად მრავლად მოიპოვებინ ჩვენს ადმინისტრაციისაში.

ოკრიბის ამბების შემდეგ ჩვენ გვითხრეს, რომ დამნაშავე ადგიეილი სამსახურადან დადეთხოვეთ და მასუხის გებაშია მიცემული. მაგრამ ის ადგიეილი დღეს ტფილისში მსახურობს ადმინისტრაციისაში. ბიღეთ თუ გნებავთ ძველი პოლიციელი მახარაძე, რომლის მათრახი თითქმის ყველას ახსოვს, ის დღეს ერთ ერთ ციხის უფროსად ითვლება. ჩვენს ადმინისტრაციას ნამდვილი კავშირი აქვს ყმაღებთან. მაგ. ზუგდიდის მზარა დაუ-

ყვიათ ყმაღებს რამოდენიმე საკონტრიბუციო უბნით და ეს ყველაფერი იცის თურმე მზარის ადმინისტრაციამ, იქაურა მზარის კომისარმა ისიც კი ვიცით, განაცხადა საერთო ყრილობაზე, რომ მილიციონერების კანდიდატებს ყმაღები ადგენენო. ჩვენი ადმინისტრაცია არამ თუ ხელს არ უწყობს დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას, არამედ ის ცდილობს ჩვენი წყობილება ძველ წყობილებას დაამსგავოს, ასეთ ადმინისტრაციას ჩვენ ხარჯთ-აღრიცხვის და შტაბის ვერ დაუშვებთ.

ბ. ჭიჭინაძე (შინ. საქმ. მინისტრის ამხანაგი) აქ ორმა ორატორმა გაილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენთვის ეს ხალი არ არის ჩვენ მივეჩვებით იმ ფრაქციისაგან „ასეთ კრიტიკას“. იმის მაგივრად, რომ შეეხონ სამინისტროს მთავარ პოლიტიკას, რადაც წერილ-მანებზე ლაპარაკობენ. ყველა იმ „ფრაქტებს“, რომელიც აქ მოიყვანეს ესერების ორატორებმა, მათინ ექნებოდა ფსი და ნინიშენლოება, რომ ჩვენ ბოროტ მოქმედებას ხელს ვაფარებდეთ და არ ვებრძოდეთ. მაგრამ მე ვაცხადებ ყველას გასაგონათ, რომ შინ-გან საქმეთა სამინისტრო სასტიკათ ებრძვის ყოველგვარ ბოროტ მოქმედებას. არა ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სამინისტროს ვინმესათვის მფარველობა გაეწიოს. ამის მაგალითს სოც. რევოლუციონერთა პარტია და ვერც სხვა ვინმე ვერ დაგვიანბნობს ჩვენ და როდესაც ეს ასეა, მაშინ რა უნდა ეწოდოს ბ. ესერების ასეთ გამოსვლას სინდისიერობა თუ უსინდისობა?—(ესერები ხმაურობენ). აქ. ბ. შენგელაიამ განაცხადა, რომ თითქოს ჩვენს უწყებაში იბუკდებოდეს უკუღმართი კანონები და ბრძანებები. მე ასეთი შემთხვევა არ მახსოვს. (შენგელაია: აი ბრძანება ნომერი 142—თქვენ რომ გააუქმეთ). ბ. შენგელაია თქვენ იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოთ, რაც ჩვენ გავაუქმეთ, არამედ იმაზე, თუ რაიმე უკანონობა ჩავიდინეთ, ჩვენ ან ვინმეს ხელი დავაფარეთ და სხ. მე მოგაყვანთ ერთ მაგალითს: ჩემთან ბინაზე მოვიდა ბ. შენგელაია და გამიცხადა, რომ ზუგდიდის საერთო არჩევნებში ერევა გვარდია, მილიცია, ხდებოდა ძალმომრეობა, იჭერენ ჩვენი პარტიის წევრებს და გაგზავნიდნენ ღებში, რომ ეს ასე არ ხდებოდა. მე უპასუხე, რომ ყველა ჩვენი ადმინისტრატორები არ არიან იდეალური პირნი, შეიძლება მათ შორისაც ეროს არა სასურველი პირი, მომეკით დებეშა, შეგვეითხები ადგილობრივად და შემდეგ ზომებს მივიღებთქო. მან დებეშა არ მომცა. მე კი მაინც გაგვზავნე ზუგდიდში დებეშა, რომლის შინა-არსი ბ. შენგელაიამ იცის.

აქ სთქვეს, რომ ოკრიბა ააწოაკეს ტ სხვაო. რა უფლების ძალით ლაპარაკობთ ამაზე, როდესაც ჩვენ სათანადო ზომები მივიღეთ დამნაშავეთა წინააღმდეგ. (ხმა: ადგიეილი სად არის?). ადგიეილი სად არის მე არ ვიცო და არც ვიღებულები ვარ, რომ ვიცოდეს თუ ვინ სად არის. მე ის ვიცო, რომ ადგიეილი ქუთაისიდან გადმოყვანილ იქნა ტფილისის ციხეში.

როდესაც თქვენ ადმინისტრაციის უმოქმედობაზე ლაპარაკობთ, რათ არ იგონებთ იმ მდგომარეობას, რომელიც აქ იყო რამოდენიმე თვის წინეთ?—მოიგონეთ ის მდგომარეობა, რომელიც იყო ამ ექვსი თვის წინეთ, როცა ქუთაისი კაცს არ შეეწოლო გავლა, როცა ყოველ ფეხის გადადგამაზე უწესობას და ბოროტ მოქმედებას ჰქონდა ადგილი, შეეძარბო იმ მდგომარეობას დღევანდელი მუშურობა, მშვიდობიანობა; დღეს ხომ დატუსაღდა ყველას ქონება და სიცოცხლე?—დღეს ხომ შედარებით გაცილებით უკეთესი წესრიგია და რა უფლების ძალით ლაპარაკობთ, რომ ადმინისტრაციას არაფერი გაუკეთებია, ის უმოქმედოა და სხვა? ეს ტფილისშია, ბიღეთ ახლა სხვა ქალაქები, ახლა საქმე ყველგან უკეთესად არის. ყველგან გამოკეთებულია. დანაშაულობის რაოდენობა საერთოდ შემცირდა, როდესაც ადმინისტრაციისაზე ლაპარაკობთ, რათ არ იხსენებთ იმას, თუ რა გააკეთა მანანარქის დროს?—ჩვენი ადმინისტრაცია, ჯორი და გვარდია ერთსულოვნად გამოდიოდნ აჯანყებულების წინააღმდეგ და კადემპ დროზე ჩააქრეს ანარქია შეერთებული ძალით.

მილიციას კავშირი აქვს ყმაღებთანო სთქვა შენგელაიამ, მე არ ვიცო რა საბუთის ძალით ლაპარაკობს ამას შენგელაია. მე ის ვიცო, რომ ჩვენი მილიციის მეცლიონებო უმთავრესი ყმაღები შეპყრობილ იქნა მზარებდის, ქუთაისის, დუშეთის და სხვა მზარებში. ის, რაც ვაკეთდა ჩვენს პირობებში, მაქსიმუმით შეიძლება ჩაითვალოს. მეტიც გაქმთება არავის არ შეეძლო. მილიციაში მართალი არიან ძველი მოსამსახურეები, მაგრამ

მართლ იმის თქმა არ უკარა, რომ ისინი ძველი რეჟიმის დროს მსახურებდნენ და ამიტომ ახლა არ უნდა იყვნენ სამსახურში. თქვენ უნდა დაამტკიცოთ, რომ მათი სამსახურში ყოფნას ჩვენთვის ზიანი მოაქვს. ჩვენ ამის საბუთი არა გვაქვს და მასთან დაკავშირებით მერ წამოვიწყოთ ბრალდებას არავითარი ფასი არა აქვს. როდესაც აქ გამოდის ხართ ბატონებო, და აღმინისტრაციან ლაპარაკობთ, მაშინ არ არის საკადრისი არ აღნიშვნა იმ დეპუტატისა, რომელიც მას შეუძლებს მუდრობის დაცვის საქმეში.

ბ. ჩხაკიშვილი (ს.-დ.). როდესაც შინაგან საქმეთა უწყების უფროსობაზე ლაპარაკობენ, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ამ სამინისტროს საერთო პოლიტიკა, მოდერნიზაცია უფროსობის, ეს არ უნდა იყოს ჩვენს მოთხოვნებზე, და ამჟამინდელ კრების მიერ მიცემულ დირექტივებს და ხალხს ინტერესებს წინააღმდეგ არის მიმართული, ანდა ისეთი დანაშაული ჩადინა კერძო ხასიათის უწყებებში, რომ მიუტოვებელია, თუ ამას დაამტკიცებენ, მაშინ შეუძლია ამ „მეპარტინე“ ფრაქციას ისეთი დასკვნა გააკეთოს, როგორც დღეს აქ იქნა გაკეთებული. შენგვლად სთქვა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ეს არის დაპატიმრების და გადსახლების სამინისტრო. თქვენს ლაპარაკს მაშინ ექნება ფასი და მნიშვნელობა, თუ თქვენ დაამტკიცებთ, რომ დაპატიმრება და გადსახლება ხდება უდანაშაულო პირების, რომლებიც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ. ამ უწყების დაცვის დროს ანუ ციხეში და საჯარო გადასახლებაში თვალის მისი რა წლის მოდერნიზაცია, რასაკვირველია, ამ მოდერნიზაციაში შეტანილი იყო, მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ახალ სახელმწიფოს შექმნის დროს და ისიც ისეთ პარამეტრში, როგორცაა ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობა ხდებოდა და ხდება, შეტანილი ადგილი ექნება. შემდეგ ორატორი ამტკიცებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთო ხაზი, პოლიტიკა სავსებით შეფერვბოდა და ეთანხმებოდა დამფუძნებელ კრების მიერ მიცემულ დირექტივებს, ხალხის ინტერესებს და ამიტომ სამინისტროს უნდა გამოეცხადოს ნდობა და წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებული უნდა იქნას.

ბ. დადიანი (სოც. ფედ.). სოც. ფედერაციონისტების სახელით მხარს უჭერს წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვას, მხოლოდ აღნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა უწყებაში ნაკლები, უწყისობაში სამსახურის ხასიათი მიიღო, ეს კი უწყების ხელმძღვანელის ბრალია. შინაგან საქმეთა უწყება მოხელეების უფლებრივ მდგომარეობას თანდათან აუარესებს. იმდენი თუ გნებავთ ფოსტა ტელეგრაფის უწყება, იქ თანდათან შეკვეცის მოსამსახურეთა კავშირის უფლებები, ასე ხდება სხვაგანაც. შემდეგ ორატორი ვრცელად ეხება მილიციის თვითნებობას და მოჰყავს ზოგიერთი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ მილიციის ხალხისადმი უდიდრად მოპყრობას და კანონის აუსრულებლობას. სხვათა შორის ორატორი მოუთხრობს კრებას ამას, თუ როგორ ააწიოკეს მშვიდობიანი მსხვერპლები სოფელ წყალტუბოში. (კ. ნინიძე ადგილიდან: ვის სახელზეა ეს ქაღალდი?) ეს ქაღალდი მოსულია ჩვენი ფრაქციის სახელზე. (ნოე რამიშვილი ადგილიდან: როდინდელია?) სტუდენტური მომხდარა ეს. მას შემდეგ, რაც აქრინაში ადგილიდან ხალხი ააწიოკეს. ორატორი კითხულობს ზოგიერთ ადგილებს იმ „ლოკუტინტიდან“ და დასკვნის, რომ ასეთი ჭკადობა და თვითნებობა დღეს სისტემატარის გადატეხული და ეს ჩირქს სტუმრებს ჩვენ ღმერთი რესპუბლიკისო.

შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომავლის პასუხი.

ბ. ჩხაკიშვილი. მე ღრმად დარწმუნებული ვიყავი, რომ ზუგდიდის არჩევნების შემდეგ ერთი მორიგი გამოსვლა ჩვენი სამინისტროს წინააღმდეგ აუცილებელი იქნებოდა. ის პარტიები, რომელნიც ამ არჩევნებში სასტიკად დამარცხდნენ, და რომელნიც ჩვეულებრივ არიან თავისი დამარცხების მიზეზი მიაწერონ და გადაბარდნის გარეშე ძალას, რასაკვირველია იქნება მოიტანდნენ ჩვენზე. მაგრამ მე არ მინდოდა, რომ თუ აშკარად ამ გზას დადებოდა სხვა რომელიმე პარტიაც, გარდა სოც. რევოლუციონერთა პარტიისა. დღეს კი სამსახურად სოც. ფედერაციონისტებიც ამ გზას დაადგინენ. ზუგდიდის არჩევნებში სასტიკად დამარცხდა სოც. რევოლუციონერთა პარტია, რომელმაც წინა არჩევნებში გამარჯვება მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ზუგდიდის მხარეში ანარქია არსებობდა, მას შემდეგ კი, რაც აქ ანარქია ჩაქრობიდა იქნა და სრული წესრიგი დამყარდა, რასაკვირველია, სოც. რევოლუციონერთა პარტია აუცილებლად უნ-

და დამარცხდებოდა. ეს ასეც მოხდა. ის პარტია, რომელიც ხშირად ყარაღებს ეყრდნობოდა, სასტიკად უნდა მოხდეს დაიშალოს ნალხის წინაშე. მე არ გამოვირდება გამოლაშქრება სოც. რევოლუციონერთა პარტიისა, რომელიც ყოველთვის ეყრდნობოდა არა სახელმწიფოებრივ ელემენტებს განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში, მაგ. აფხაზეთში თქვენი ამხანაგები, ბ. შენგელია, შეუთანხმდნენ ჩვენი სახელმწიფოებრივობის მოწინააღმდეგე პარტიას (შენგელია, ჯორჯია) პარტიის თქვენ და თქვენი ფრაქცია უმსაქმელდება მუდამ დამფ. კრებას, მე კი სრულ უკმარობებს მოგვსენებოთ, ეს დღეს მთელმა აფხაზეთმა იცის. მე ვამბობ, რომ არ გამოვირდება ასეთი პარტიისგან გამოლაშქრება, მაგრამ მე მიკვირს, როცა სოც. ფედერაციონისტების წარმომადგენელიც იმას იმეორებს, რასაც გორის მკითხველი: „ერთობის“ ხალხმა დღესაც ქვეყანა, ყველაფერი მისი ბრალია და სხვა. მაგრამ მე ვამბობ, რომ ეს იმით აიხსნება, რომ თქვენ დაკარგეთ ხალხში რაღაცა და ეს ლაპარაკობთ.

და მართლაც რა გაკეთდა ამ ორი წლის განმავლობაში? გაკეთდა ბევრი რამ, გაკეთდა ის, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა აუცილებელი შეიქნა. მოეწყო სათემო და საერთო და პატარა ქალაქების თვითმართვლობები. ამ ხნის განმავლობაში მკვიდრა ნადაგი ჩაეყარა სახელმწიფოს საძირკვლებს. მე არ ვიტყვი, რომ ერთობა და თემი იმდენად დამკვიდრებულია, რომ ჩვენ შეგვეძლოს გულხუდაკრული ყოფნა, მაგრამ ერთი კი ცხადა და უდაოა: ეს ის, რომ ჩვენს ცხოვრებაში შენგელია ახალი ძალა—თვითმართვლობები და ქმნიან მტკიცე საფუძველს სახელმწიფო აისა. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შეთხვევა, რომ უწყებას რაიმე სერიოზული უთანხმოება ქონოდასთან გარდა ერთობისა, სხვა ანარქიის საშუალებით ვაბატონებულყვნენ ვსერები, მათ იქ მოამკეს თავიანთი ნამუშევარის ნაყოფი, ხალხმა მათ უნდობლობა გამოუცხადა. მართალია ჩვენ სათემო დებულება მაშინ არ შეგვიშეშავია. ჩვენ ვიცოდით, რომ ეს ახალი საქმე, საჯარო გამოცდილების დაგროვება, საქმის დამკვირვება და ამიტომ არ შევიშეშავთ მასთან დებულება. დღეს ამ დებულებისათვის საჯარო მასალები გვაქვს და ახლო მომავალში ჩვენ საშუალება გვექნება სათემო დებულება წარუდგინოთ განსახილველად დამფუძნებელ კრებას. ახლო მომავალში ჩვენ წარუდგენთ დამფუძნებელ კრებას აგრეთვე დებულებას მილიციის შესახებ. შემდეგ მინისტრი ეხება მოხელეთა უფლებებს და ამბობს: აქ ბ. დადიანმა განაცხადა, რომ სამინისტროს სტეგის მხარე, კვდას მათ უფლებებს. მე არ ვიცი მისი პარტია (სოც. ფედ.) იზიარებს თუ არა დადიანის ამ აზრს, და თუ იზიარებს—ეს ვერ მიხსენებ სოც. ფედერაციონისტთა პარტიის სახელმწიფო მოღვაწეობის აქტისა. არ ვყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ ვინმეს კანონიერი უფლებები შეგვეღებოდა, მაგრამ იქ, ფოსტაში არიან ზოგიერთი პირები, რომელთაც სურთ მთელი ადმინისტრაციის ხელში ჩაგდება, ეს არის რუსული კომუნისტი ჩვენში სხვა სახით გადმოტანის და ამის საშუალებას ჩვენ არავის არ შევცდით. მათის აზრით, რომ ვინმემ დაგინდოთ ფოსტისათვის არის, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ფოსტა სახელმწიფოსა და მას უნდა ემსახუროს. რამდენადაც ისინი იცავენ თავის პროფესიონალურ ინტერესებს, არ ვყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგ წამოვიდნენ მიგველოს და ეს არც იქნება, ვინაიდან ჩვენი მთავრობა სასტიკად ეყრდნობა პროფესიონალურ კავშირებს და მუშათა მოძრაობას.

აქ წამოაგვიდეს ისეთი დებულება უმსაქმელის შესახებ, რომელსაც სინამდვილესთან ანარქიის არა აქვს საერთო. მე ზუგდიდში ყოფნის დროს ვინახულე ციხე, იქ ვიხილე 26 ყარაღი, მათ შორის ბევრია ისეთი, რომელიც ძველი მთავრობის დროს 10 წლებით იმალდებოდა. აიღეთ გორის მხარე. იქაც 16 ყარაღი აღმოჩნდა ციხეში. ასეთია სინამდვილე. თქვენ კი მხოლოდ შენგელია, ბრძანებთ, რომ აღმინისტრაციის არაფერს არ აკეთებს, მას კავშირი აქვს უმსაქმელთან. მე გვიკითხებით თქვენ, რომელ ყარაღებზეა ლაპარაკი?—და თუ ვინმეს აქვს კავშირი უმსაქმელთან რათ არ ასახელებთ?—მართალია, აღმინისტრაციისაში ვამოყრება თითო ორჯერ არა სასურველი პირი, მაგრამ ჩვენ მათ წინააღმდეგ ყოველთვის მივდივართ სათანადო შიშებით და შემდეგ შეიძლება ასე მოვიქცევით. აქ შეეხებ აგრეთვე საფუძველს დადგენილების გაუმჯობესებას. ჩვენ ის დადგენილება გამოვიტოვებთ თვითმარ-

თველობის სურვილების თანახმად, დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა და ამ დადგენილებას მნიშვნელობა დაეკარგა. ყოველ შემთხვევაში ამაზე თავის დროს გვექნება ლაპარაკი. სოც. ფედერაციონისტების წარმომადგენელი ამბობდა წყალტუბოს შესახებ, მართლაც აღმინისტრაციის ფაქტები მოაყვანა მან, (თუ ადგილი მართლა ქონდა ამ ფაქტებს), მაგრამ მე ვკითხვობ მათ, სად იყავით აქამდე? ნ თვე რათ დამალეთ ეს ცნობები?—განა ეს დანაშაული არ არის? და თუ ეს ცნობები თქვენმა წარმომადგენლებმა ქუთაისის ერობის გამგეობაში, როგორ სხედან ისინი გამგეობაში? ეს ფაქტები მართალი რომ იყოს, მაშინ ქუთაისის ერობა ამის შესახებ სათანადო ზომებს მიიღებდა და თუ არ მიიღებდა, მაშინ თქვენი ამხანაგები მოწვევლობას არ მიიღებდნენ ერთობაში და განუცხადებდნენ: ჩვენ თქვენთან შეთანხმდა არ შეგვიძლია. და გავიდაოფენ-ყველაფერს ამას რომ თავი დავანებოთ, თქვენ მაინც ვალდებული იყავით გვეცნოთ ეს სადაც ვერ არს. ეს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. თქვენ ეს უნდა იცოდეთ, ბ. ფედერაციონისტებო. აქ გვისაყვიდურეს, რომ როცა სამინისტროს გაუჭირდება—ერობას ამოეფარებაო. ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ, რომ არასოდეს არ ამოვფარებდით ერთობას. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ ჩვენ გვეჭყურების მხოლოდ კანტროლი და საერთო ხელმძღვანელობა.

ჩვენ რამდენადაც შეგვეძლო ხელი შეუწყვეთ მშვიდობიანობის დამყარებას, წესრიგის აღდგენას, ხელი შეუწყვეთ ანარქიის ჩაქრობას, რომელსაც ხელს უწყობდნენ სოც. რევოლუციონერები. დასასრულ მე ვაცხადებ, რომ სადაც კრიტიკა არ არსებობს, იქ საკანონმდებლო ორგანო თავის მოვალეობას ვერ შეასრულებს, მაგრამ მოწინააღმდეგე პარტიის მოვალეობა უჩვენოს გზა მმართველ პარტიისა, ხალხის ის იარაღი კი, რომელიც მე აქ ვიხილე შეტევა ჩვენზე და მე ვისურვებდი, რომ ის შემდეგში ასეთი არ ყოფილიყო (ტაში).

ქვაც ატრემოდება გორის რაიონის უბედურებით. დაეხმარეთ დაზარალებულთ.

ქალაქის თვითმართვალუბაში.

დადგენილებანი:

— 1 თებერვლიდან დაწესდეს ნიხრი ელექტრონის ენერჯიაზე: სანათურზე უკაბელოთ პირველთათვის: 16 სანთ.—41 მ. 60 კ. 25—65 მ., 32—83 მ. 20 კ. 50—130 მ., 100—260 მ. მეორათათვის 16 სანთ.—62 მ. 65 კ. 25—97 მ. 85 კ. 32—125 მ. 30 კ., 50—195 75 კ. 100—391 მ. 50 კ. მორიგე ლამპების ფასი ორკეცდებმა, ნახშირის სანათურზე ფასი საშუალოდ.

— დაინიშნოს ინტენერო მ. გ. მთხოვეა ქალაქის უბნის ხუროთ მოძღვრათ.

— მიეცეს საბჭოს საჩუგვიო კომისიის თამბუჯლომარეს რევიზიის წევრთათვის დასაბრებლათ დღეში 100 მანეთი, სულ 29 500 მანეთი.

— ავანსი ათას-ათასი მანეთი, მიცემული მოსამსახურებზე ლექსებში, რომელიც უნდა გამოიციხული ყოფილიყო პირველი მომეტების მდებრის დროს გამოეცხობათ თებერვლის გამგეობიდან.

— მიეცეს ქალაქის გამგეობის პერსონალს, რომელიც იგზავნება გორში, რიცხვით ათ კაცს: კლიმიაშვილს, თავზარაშვილს, თერიაშვილს, მარჯაშვილს, ალექსიძეს, ექიმთა თანამშრომელი: რომაშვილს, ჩიქოვას, თუკინს, ჯიბლაძეს და ევანძეს 1 თებერვლის გამგეობის დასაბრებლად ჩვეულებრივ დრომდე.

— მიეცეს ორთაქალის ხილის შესაკეთებლათ მოგდასაბრავს 24920 მანეთი და „ლოტკის“ ხალხის შესაკეთებლად 12760 მანეთი, — მექარხნე კარაგეიანისგან შეძენილ იქნენ მილიციის უმადესი პირთათვის მათი არხის 200 მანეთად.

ბორბ-მოქმედება.

ქალაქის ცენტრის მქრობელ რაზმის ბრანდმისტრმა ა. ბერიძემ მოახსენა ქალაქის გამგეობას, რომ იანვრის პირველ რიცხვებში მისმა თანამშრომელმა ბ. კლიმიაშვილმა შეადგინა სხვა მოსამსახურეთა და ხელის მოწვევით გაუტანა ქალაქის საბაროდან 31,000 მანეთი. ღამდემ ამ ფულიდან მოსამსახურებში მიღებული აქვთ 7400 მანეთი, დანარჩენი კი კლიმიაშვილის ხელშია; არის მესხელში აგრეთვე

რამდენიმე ათასი მანეთი რაზმის ფონდიდან. გამოიხილან დამტკიცდა, რომ კლიმიაშვილი ბორბ მოქმედებას ჩადიოდ, ზომები მიღებული მის დასაბრებლად.

სამსახურიდან დათხოვნა.

საბინაო განყოფილების დახურვას გამო სალიკვიდაცია ფულის მიცემით ქალაქის გამგეობამ სამსახურიდან დათხოვნა განყოფილების ყველა მოსამსახურენი გარდა გამგის ბადრთვისა.

ცენტრის მქრობელ რაზმი.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გაინანას განყოფილება ცენტრ. მქრობელ რაზმისა ნიკოლოზის ქუჩაზე, № 106, რისთვისაც გადაღებულ იქნა ერთდროული ხარჯების დასაფარავათ 221 ათასი მან., ხოლო წლიური ხარჯთ-აღრიცხვისათვის 192.620 მ. სერთოთ ცენტრის მქრობელ რაზმის გაუმჯობესების და გაძლიერებისათვის გადაღებულია 260.780 მან. სულ—677.400 მან. მომატებულ იქნა აგრეთვე გამგეობის მოსამსახურებისათვის.

— ცენტრის მქრობელ რაზმიდან არსებული გარეთის შენობა გადაკეთებულ იქნება ბინებათ, რომელშიც ცხოვრების ნება დართო ქალაქის გამგეობამ რაზმის მოსამსახურებს.

ზღვა წვეთით შესდგება. მოქალაქე, გაიღე შენი წვლილი გორისათვის.

ხელოვნება

გალაქიონ ტაბიძე

ხელოვნებისათვის თეატრში გალაქიონ ტაბიძის საღმრთო. მეძლევა შემთხვევა, მოკლეთ განვიხილო მისი შემოქმედებითი გენია.

ჩემთვის ხელოვნება—ხელშეუხებელი სიმინდია. მკვარტლიანი სული ხელოვნების დიალოგს ვერ ჩაწვდება. მხოლოდ მაღალ ბუნების ადამიანს შეუძლიან იყოს ხელოვანი.

მაღალ ბუნების ხელოვანი გალაქიონ ტაბიძე!

მასში უნდა გაცოცხლდეს ახალი ესტეტიური საქართველო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, ეს უდიდესი პოეტი—ფილოსოფოსი, რომლის ტანჯვა და პესიმისტური მათგანმდევლობა თანაბარი იყო პამლეტის ტრაგედიის—გალაქიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებულ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავს.

გალაქიონ ტაბიძე ქართულ პოეზიის ამაყი რაინდია. ის მოდის ცისფერ ოცნებით და მარჯვით ფრთებით. მისი პოეზია არის „ვარდთა ნელი სურნელი“.

„ფთქებული და მოცხცახე“, ის იწვის როგორც წმინდა სანთელი! და მის ფაქტთა, ზღვათა იღვწალებში, იმალდებიან „აგურნი, ლალები“.

იზივითა პოეტს მქონდეს ისეთი შინაგანი განათება და ხმაური—როგორც ეს გალაქიონ ტაბიძის.

პოეტის სულის ხმაური ამტკიცებულა მუსიკალური აკომპანიმენტებით. და თითო მისი კლამის მოსმა ქალღმრთე—არის კლავიატურაზე კლავიშების ერთი-მეორის ამოძახილი.

გალაქიონ ტაბიძე მუსიკალური რიტმის ჯადოსანია. პოეტმა იცის მუსიკალური პათოსი და ის ხმაურს იმისთანა სიტყვათა კომბინაციებს, რომელიც ქმნიან ლექს მუსიკალური კასკადი. მის ლექსის რიტმებში არის მინორი და სიტყვების ფაგურაცია.

შეიძლება გალაქიონ ტაბიძეს ბევრგან რითმამ უმუხტლოს, მაგრამ პოეტის მუსიკალური რიტმი კი მასთან იქნება.

თანამედროვე ხელოვნებას ერთი რამ ახასიათებს. ეს არის მისი ლაკონიზმი. ნერვიული ხანა ვერ ითმენს სიტყვის გაგრძელებას. მას უყვარს სიტყვის მოკვეთა. სწრაფი, ალფ-გორიული თქმა.

ასეთია გალაქიონ ტაბიძის ლექსიც. მაგრამ შორეულ უარყოფითი მხარეც აქვს თანამედროვე ხელოვნებას. ეს არის დეკადენსი, რომელიც სწრაფი სვლით უყვარს სიტყვის მიღის. გემოვნების და ფანტაზიის დაქვემდებარება. გრძობა და გონების გაბრუნა. კომპარატიული წინააღმდეგობა—უანცდანი.

გალაქიონ ტაბიძე ამაზე შორსა სდგას. ის ესტეტიკა, ლამაზი შეგენების პოეტი. ფაქტია და უნახესი სულის პატრონი. დაწვდეს და პეტრარკას ცის ქვეშ იზრდებიან ასეთი პოეტები.

ისინი ესლმებანი ნესტან-დარეჯანს და ბეატრიჩეს „პირველი ტრფობის ინტერვალებით“.

შეუძლებელია საერთოდ გადმოვკეთ პოეტის ის ფაქტრი და ზრ. ხვანი, რასაც იმ ფაქ-

